

**ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვების  
სინტაქტიკა და სემანტიკა თანამედროვე ქართულში**  
(ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)

**„ჩვენ დიდი ვალი გვაქვს ბერძნულისა და ლათინური ენების წინაშე. ამ ორმა ბრწყინვალე ენამ მრავალი ევროპული ენა გაამდიდრა ნასესხები ლექსიკით. ცხადია, მერმისშიც არ უნდა მოგერიდოთ მას“** – წერდა ვ. გამსახურდია [გამსახურდია 1985], რომელიც თავაძმოდებით ცდილობდა, ქართულ სამწერლობო ენაში დაემკვიდრებინა ბერძნული და ლათინური წარმომავლობის სიტყვები. მართლაც, თავის ნაწარმოებებში მან გუა ბევრ ბერძნულ-ლათინურ ტერმინს გაუხსნა (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მათგანი ადრევე არსებობდა ძველსავე ქართულში). გამსახურდია სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბერძნულ-ლათინური ნასესხობებით ქართული ენის გამდიდრებას, მისი აზრით: **„ქართული ენა ისედაც მარტოხელაა მსოფლიო ენების ოჯახთა შორის. ასე რომ, თუ არ გვსურს, სოფლური იერი მივანიჭოთ ჩვენს ენას, თამამად უნდა შემოვუშვათ მასში ისეთი სიტყვები, რომლებსაც არც ერთი ცივილიზებული ენა არ თარგმნის“**. მწერალს ჰქონდა ამბიციის იმისა, რომ საკუთარი შეხედულების მიხედვით დაედგინა წესები, თუ როგორ უნდა შემოსულიყო ეს სიტყვები ქართულ ენაში და ამის თაობაზე ეპაექრებოდა ენათმეცნიერებს, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი ჰქონდათ. კონკრეტულად, ვ. გამსახურდია მოითხოვდა, ბერძნული ან ლათინური სიტყვა ზუსტად ისე გადმოცემულიყო ქართულად, როგორც იყო ამოსავალ ენაში. მაგ., იგი არ იყო მომხრე ორმაგი თანხმოვნის გამარტივებისა და უკვირდა, თუ რატომ არ შეიძლებოდა ორმაგი თანხმოვნით (ან ხმოვნით) გადმოცემულიყო ბერძნული ან ლათინური სიტყვები. თავად მუდამ გემინირებულ თანხმოვნებს წერდა და სურდა, რომ ეს ნორმად ქცეულიყო ქართულში. მაგ.: ის ცდილობდა დაემკვიდრებინა ფორმები: **პრესსა, რასსა, მასსა, კლასსი, პროცესსი, ილლუმინაცია, გრამმატიკა, კომმისია** – თუმცა ამ პრინციპით უკანასკნელ სიტყვაში ორმაგი სან-

იც უნდა დაგვეწერა, როგორც ეს ლათინურშია (commissia).

მწერალი ზოგადად მომხრე იყო იმისა, დედანთან სიზუსტის დაცვის მიზნით, სახელობითის ფორმით გადმოგვეტანა ბერძნულიდან და ლათინურიდან ნასესხები სიტყვები; მაგალითად, ასე: **ვერგილიუსი, ჰერკულესი, პომპეიუსი, არტემისი**; მაგრამ ამასთანავე პარალელურად იყენებდა ასეთ დაწერილობასაც: **ვირგილი, ჰომეროსი / ჰომერი / ჰომირისი, კეისარი, ცეზარი, ოდისეი, კაპიტოლი, რემი (რემუსი)**. კ. გამსახურდია ასევე მოითხოვდა, გვეწერა: **ანტიური** (ანტიკა), **ესთეტიური** (ესთეტიკა), **მასსური** (მასსა), **რასსული** (რასსა), **კლასსური** (კლასსი)... რა თქმა უნდა, მას, როგორც მწერალს, ჰქონდა უფლება პოეტური ლიცენციის გამოყენებისა, რასაც ახლაც მიმართავენ მხატვრული სიტყვის ოსტატები (და არა მარტო ისინი), მაგრამ ენის ნორმების შემუშავების დროს ენათმეცნიერებთან პაექრობისას ამა თუ იმ წესის დადგენას მეტი არგუმენტაცია სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ერთნაირი სუფიქსის გადმოტანისას მაინც ერთი და იმავე წესის დაცვაა საჭირო. ეს პრინციპი კ. გამსახურდიას თხზულებებში ხშირად დარღვეულია. ზემოდასახელებული მაგალითების გარდა, მსგავსი ვითარებაა შემდეგ შემთხვევებშიც:

**„როცა კოლიზუმი წაიქცევა, ქვეყანა დაიქცევა“... „წვერხუჭუჭა მარკ ავრელიუსს შეგვეგება ფორუმზე ამომავალთ“... „მხარმარჯვნივ სეპტიუს სევერიუსისა და კონკორდიას ტაძრების ნანგრევები მოსჩანან, მხარმარცხნივ – სატურნის ტაძარი“... „კაპიტოლიის მუზეუმის ვენერა ვინახულეთ და ჯოჯოხეთის დედოფალი პერსეფონე“** – ამონარიდები მოყვანილია „მთვარის მოტაცებიდან“. აქ **-უმ** სუფიქსიანი სახელებიდან ზოგი სუფიქსის მოკვეციტ არის წარმოდგენილი (**კაპიტოლიის < კაპიტოლიუმის**), ზოგში შენარჩუნებულია სუფიქსი (**მუზეუმი, ფორუმი**); **-უს** ბოლოკიდურიანი საკუთარი სახელებიდან ზოგი უსუფიქსოდ არის წარმოდგენილი (**სეპტიუსი, სევერიუსი**), ზოგიც – სუფიქსის ჩამოშორებით (**სატურნის < სატურნუსის, მარკი < მარკუსი**)... ასე რომ, კონსტანტინე გამსახურდიასთან სიჭრელე შეინიშნება ერთგვარი ტიპის სიტყვების გადმოცემის დროსაც. მხოლოდ გემინირებული თანხმოვნების გადმოცემაში მისდევს მწერალი ერთ პრინციპს ბოლომდე და ერთგულად.

შემდგომ, ნორმირების პროცესი მკვეთრ მეცნიერულ საფუძვლებზე დადგა და შემუშავდა როგორც ზოგადად სტანდარტიზაციის პრინციპები და წესები, ასევე – ცალკეულ ფორმათა სწორი ვარი-

ანტები (არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით). კონკრეტულად, ბერძნულ-ლათინურ ფორმათა შესახებ ბრწყინვალე რეკომენდაციები შემოგვთავაზა ამ სფეროს უბადლო სპეციალისტმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. მაგრამ ენა დროთა განმავლობაში იცვლება, ამდენად, აუცილებელი ხდება შევსება და გარკვეული ცვლილებების შეტანა უკვე არსებულ ლექსიკონებშიც. მაგ., ქეგლის რვატომეულის გამოცემის შემდეგ სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო პროგრესის სწრაფმა ტემპმა საჭირო გახადა ახალი რედაქციის შექმნის აუცილებლობა. როგორც ცნობილია, უკვე გამოიცა სამი ტომი, რომლებიც შეივსო ახალი სალექსიკონო ერთეულებით; გათვალისწინებულია მომდევნო ტომების გამდიდრება ახალი ტერმინებით; ეს განსაკუთრებით სამედიცინო ტერმინოლოგიას ეხება, ასევე – იურიდიულსაც...

ცვლილებების შეტანის აუცილებლობა დგება ბერძნულ-ლათინური სიტყვების ქართულად გადმოცემის შემთხვევაშიც. ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე საკითხზე. მაგალითად, ლათინურიდან მომდინარე **-ალ** სუფიქსიან სიტყვებზე, რომლებიც ქართულად ხან **-ურ** (**-ულ**) სუფიქსით გადმოიცემა, ხანაც **-ალ-ურ** დაბოლოებით (სადაც **-ალ** ლათინური სუფიქსია, რომელსაც ემატება ქართული **-ურ** სუფიქსი). ასე რომ, აქ ერთი ლათინური **-ალ** და ერთიც – იმავე ფუნქციის ქართული **-ურ** მაწარმოებელი გვაქვს. ამიტომ **-ალ** ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, თითქოსდა სრულიად ზედმეტია... ამ ტიპის ფორმებია: **დიამეტრალური** და **დიამეტრული**, **ტერიტორიალური** და **ტერიტორიული** და სხვა... ასეთი ნასესხობები ქეგლში უმეტესწილად ორსავე ფორმით არის დაფიქსირებული და ისინი პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული. ორთოგრაფიულ ლექსიკონში კი ნორმად ბევრ შემთხვევაში ერთსუფიქსიანი (**-ურ**) ფორმა ითვლება. ეს გასაგებიცაა – ლათინურ სუფიქს **-ალ-ს** ენაცვლება იმავე ფუნქციის მქონე ქართული მაწარმოებელი **-ურ**.

არადა, ხშირად ფორმებს შორის შინაარსობრივი სხვაობაა:

**ფუნქციონალური** (გრამატიკა, ასევე – მათ. ტერმინი) და **ფუნქციური** (სამედ. მოშლილობა)

**ეპისტოლარული** (ქანრი) და **ეპისტოლური** (სტილი)

**დიფერენციალური** (მათ. ტერმინი) და **დიფერენციული** (სწავლება)

**დიამეტრალური** / **დიამეტრალურად** (სრული, სრულიად) და

**დიამეტრული** (ზომვა)

**კონტინენტალური** (კონტინენტისთვის დამახასიათებელი) და **კონტინენტური** (ჰავა)

**კოლონიალური** (პოლიტიკა) და **კოლონიური** (ქვეყნები)

**პოტენციალური** (ტექნ. ენერგია) და **პოტენციური** (დამნაშავე)

**ლეგენდარული** (ადამიანი) და **ლეგენდური** (ლეგენდის ხასიათისა)

**რეგიონული** (დაყოფა) და **რეგიონალური** (სესია) და სხვა...

(ბევრი ასეთი ფორმა 2011 წელს გამოცემულ „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში“ უკვე გამიჯნულია).

რატომ არის ერთ შემთხვევაში მისაღები ორივე ფორმა და სხვა შემთხვევაში – მიუღებელი? როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დასახელებული პარალელური ფორმები შინაარსს მხრივ ნიუანსურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხდება ფუნქციური გამიჯვნა შინაარსის მიხედვით. ეს სახელები, მართალია, პარალელურ ფორმებად არის მიჩნეული, მაგრამ, რეალურად, განსხვავებულ კონტექსტებში იხმარება.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა **ა(-არ)** სუფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელების ინტენსიური სესხების შემთხვევები თანამედროვე ქართულში. მაგ.: **რეგულარი** (ბენზინის ხარისხი), **ცენტრალი** (დიდი სავაჭრო ცენტრი), **ნაციონალი** (ნაციონალური პარტიის წევრი) და სხვ., რომლებიც ისეთივე წარმოებისაა, როგორიც **ინტეგრალი** (მათ. ტერმინი), **მაგისტრალი** (მთავარი გზა) და სხვა...

ცნობილია, რომ **-ოს** სუფიქსიანი სახელების დიდი ნაწილი **-ოს** დაბოლოებითვე გადმოდის ქართულში: **კოსმოსი**, **კოლოსი**, **ცინიკოსი**, **ისტორიკოსი**, **მედიკოსი**, **პათოსი**, **ლოგოსი**. მაგრამ საინტერესო ფაქტია, რომ მხოლოდ **-ლოგოს-**ზე დაბოლოებული სახელები არ ინარჩუნებენ ამ დროს **-ოს-ს**: **ფილოლოგი** და არა **ფილოლოგოსი**, **ბიოლოგი** და არა **ბიოლოგოსი**.

**-უმ** ბოლოკიდურნიანი სახელების უმეტესობა ამავე დაბოლოებით გადმოდის ქართულშიც: **ფორუმი**, **მუზეუმი**, **კოლოსეუმი**, **კონსილიუმი**, **ჰერბარიუმი**, **ტერარიუმი**. ისინი იმავე მნიშვნელობის მატარებლები არიან, რა მნიშვნელობაც ლათინურში აქვთ. ნაწილი ამგვარი სახელებისა კი **-უმ** დაბოლოების მოკვეციტ არის შემოსული: **თეატრი** (თეატრუმ), **მონუმენტი** (მონუმენტუმ). მიუხედავად

შემოთავაზებული ნორმისა (**{კოლიზიე} კოლოსეუმი**) ყოველდღიურ მეტყველებაში (და არამარტო) პარალელური ფორმებით იხმარება: **კოლოსეუმი (კოლიზეუმი) და კოლიზიე.**

დასახელებული მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მიუხედავად დადგენილი ნორმებისა თუ წესებისა, ნასესხობათა გადმოტანის დროს ჯერ კიდევ შეინიშნება არაერთგვაროვნება. პარალელურად, ენა ვითარდება, მდიდრდება უცხოენოვანი ლექსიკით და ახალი ტერმინების შემოღებას დიდი დაკვირვება სჭირდება. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა ზეპირი გზით შემოსული სიტყვები მცდარი ვარიანტებით არ დამკვიდრდეს ჯერ მეტყველებაში, შემდგომ კი – წერილობით წყაროებშიც; რომ თვითნებურად დადგენილი „წესების“ დამკვიდრებით ენის წარყვნა არ მოხდეს. უნდა დარჩეს ის ფორმები, ტერმინები თუ სიტყვათშეხამებები, რომლებსაც ზურგს ქართული ენის ფონეტიკა, ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი, ზოგადად – სალიტერატურო ენის ნორმები უმაგრებს...

ზოგადად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვები თანამედროვე ქართულში სინტაქტიკისა და სემანტიკის თვალსაზრისით შემდეგ ვითარებას გვიჩვენებს:

1. სიტყვათა გადმოტანისას, **სინტაქტიკის მიხედვით** (ბერძნულ-ლათინური ფონემების გადმოცემის, საკუთარ / ზედსართავ სახელთა გაფორმების საკითხები და სხვა...), გარკვეული სიჭრელე შეინიშნებოდა; თუმცა მეოცე საუკუნეში საკითხის მეცნიერული დამუშავებისა და ნორმების დადგენის შემდეგ ვითარება ერთგვარად დარეგულირდა;

2. **სემანტიკის მიხედვით** ამ ტიპის სახელებში (არც გადმოტანის დროს და არც შემდგომ) მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება; რაც შემთხვევებში აღინიშნება შინაარსის მხრივ ნიუანსობრივად განსხვავებული პარალელური ფორმების წარმოების ტენდენციები.

## ლიტერატურა

**გამსახურდია 1985** – ვ. გამსახურდია, თხზულებათა ანტოლოგიური, ტ. IX, თბილისი.

**ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964; 2008,-2010, თბილისი.

**თანამედროვე ნორმები 1970** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

Nino Jorbenadze, Iamze Gagua

### **Syntactics and Semantics of Words with Greek and Latin Roots in Modern Georgian (History and Current Situation)**

#### Summary

In general, the words with Greek and Latin roots in the Georgian language show the following picture with respect to syntactics and semantics:

1. When adopting words there was a kind of diversity in terms of syntactics (transliteration of Greek and Latin phonemes, affixing proper nouns and adjectives etc.) but after processing the issue scientifically and setting the standards in the twentieth century the situation became somewhat regulated.

2. As for the semantics of this type of words there are no significant changes. In some cases, the tendencies of deriving parallel forms with indistinguishable differences can be noticed.